ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი № 1

სხდომის ჩატარების დრო:

18 ნოემბერი, 2025 წელი;

სხდომის ჩატარების ადგილი:

რუსთაველის გამზირი №3.
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ჭიღვარია.

ესწრებოდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ქალბატონი მ.ნიჟარაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, ბატონები: ა.კოპალეიშვილი და ლ.გვენატაძე, საკრებულოს წევრები: შ.ჯიშკარიანი, ს.ნერგაძე, მ.ჩიხლაძე, ბ.გვენეტაძე, დ.მხეიძე, ჯ.ბიბილეიშვილი, ი.კუჭავა, თ.ბაკურაძე, ლ.ჩიტიძე, ა.გიორგაძე, თ.მებურიშვილი, ა.მიქაუტაძე, ე.არჩია, ა.თამაზაშვილი, მ.გიორგაძე, ბ.ჩეჩელაშვილი, ს.სარალიძე, კ.ფხაკაძე, მ.სინაურიძე, გ.იობაშვილი.

სულ: 25 წევრიდან - 24 წევრი.

არ ესწრებოდა: საკრებულოს წევრი: ქალბატონი მ.კოსტავა.

სულ: 1 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი დ.ერემეიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები, ბატონები: დ.ნიშნიანიძე და შ.მშვილდაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ბატონი გ.სვანიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი, ქალბატონი ც.პატარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი, ქალბატონი ნ.კაკაბაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი თ.მელქაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი, ქალბატონი ე.ნიკიფი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიული განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.სვინტრაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი პ.ადამაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი დ.ჭეიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი ვ.სილაგაძე, მერიის სამსახურებისა და საკრებულოს აპარატის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, საინფორმაციო საშუალებათა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე პირველი სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ“**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე პირველი სხდომის **დღის წესრიგის** შემდეგი პროექტი:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი დავით ერემეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი პეტრე ადამაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული
სამსახურის ხელმძღვანელი

2. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი დავით ერემეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

3. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი დავით ერემეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქალაქ ქუთაისში, 35-ე საჯარო სკოლის დასავლეთით მდებარე ტერიტორია/ჯავახიშვილის ქუჩა №85-ის სამხრეთით მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი), პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ

ბატონი დავით ერემეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

5. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2024–2027 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 16 დეკემბრის № 350 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი დავით ერემეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი დავით ჭეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - მუნიციპალური და საბინაო
ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი

დღის წესრიგის პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ საკრებულოს რიგგარეშე პირველი სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 23-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.კოსტავა და მ.გიორგაძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 22 წევრი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო: 1-მა წევრმა, ბატონმა ალ.მიქაუტაძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე პირველი სხდომის **დღის წესრიგი** დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **გიორგი ჭიღვარიას** მიერ ზემოთ წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **პირველი** საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2025 წლის 18 ნოემბრის სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**დადგენილების პროექტის პირველი მუხლი გასწორდა რედაქციულად და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №9 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 05.01.2018, №010250050.35.123.016412), კერძოდ, დადგენილების დანართის 29[1] მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი: „5. ამ მუხლის მიზნებისთვის, მერია ასევე მოიცავს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს.“**), ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის -ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **პეტრე ადამაძემ.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის **პირველ** საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდა საკრებულოს წევრი, ქალბატონი მ.კოსტავა.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 21 წევრი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო: 3-მა წევრმა, ბატონმა ალ.მიქაუტაძემ, ქალბატონებმა: თ.მებურიშვილმა და ე.არჩაიამ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **პირველ** საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის -- ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის, **პეტრე ადამაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 18 ნოემბრის **№1 დადგენილების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **დადგენილება №1** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **მე-2** საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის**

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ზემოაღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, დაისვა შეკითხვა, გაკეთდა განმარტება.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (პოლიტიკური პარტია „გირჩი“), ქალბატონი **თეკლა მებურიშვილი:** „თუ სწორად გავიგე, განკარგულების პროექტის 1-ელი მუხლის 1-ელი პუნქტიდან ამოღებულია ობიექტები და იქვე სხვა ემატება. მიზეზი ხომ არსებობს, რის გამოც ვიღებთ ნუსხიდან ამ ობიექტებს?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **ვალერიან სილაგაძე:** „მოგახსენებთ, რომ ამ პუნქტების ამოღება ხდება მაშინ, როდესაც ობიექტები არის გასხვისებული, რაც შესაბამისად უნდა იყოს ამოღებული გეგმიდანაც და ნუსხიდანაც.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის **მე-2** საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდა საკრებულოს წევრი, ქალბატონი მ.კოსტავა.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 21 წევრი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო: 3-მა წევრმა, ბატონმა ალ.მიქაუტაძემ, ქალბატონებმა: თ.მებურიშვილმა, ე.არჩაიამ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მე-2** საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის, **ვალერიან სილაგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება №29** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **მე-3** საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის **მე-3** საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდა საკრებულოს წევრი, ქალბატონი მ.კოსტავა.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 22 წევრი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო: 2-მა წევრმა, ბატონმა ალ.მიქაუტაძემ, ქალბატონმა თ.მებურიშვილმა), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მე-3** საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის, **ვალერიან სილაგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება №30** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **მე-4** საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქალაქ ქუთაისში, 35-ე საჯარო სკოლის დასავლეთით მდებარე ტერიტორია/ჯავახიშვილის ქუჩა №85-ის სამხრეთით მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი), პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2025 წლის 18 ნოემბრის სხდომის

რეკომენდაციის გათვალისწინებით (**განკარგულების პროექტის სათაურსა და მე-2 მუხლში სრულად ჩაიწერა უძრავი ქონების მისამართი და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ქალაქ ქუთაისში, 35-ე საჯარო სკოლის დასავლეთით მდებარე ტერიტორია/ჯავახიშვილის ქუჩა N85-ის სამხრეთით მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი"; განკარგულების პროექტის მე-2 მუხლი გაიმართა რედაქციულად და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „მუხლი 2. შეცვლილი გარემოებებიდან გამომდინარე, თუ აღნიშნული უძრავი ქონება სარგებლობაში არ გადაეცემა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებამოსილებას, სახელმწიფოსაგან მოითხოვოს უძრავი ქონების (ქალაქ ქუთაისში, 35-ე საჯარო სკოლის დასავლეთით მდებარე ტერიტორია/ჯავახიშვილის ქუჩა №85-ის სამხრეთით მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი; საკადასტრო კოდი: № 03.01.22.795; ფართობი: 5 000კვ.მ.) დაბრუნება".**), წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვა, გაკეთდა განმარტება:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ალექსანდრე მიქაუტაძე** (უფრაქციო წევრი): „დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ჩემთვის ცნობილია. აქ საუბარია არაერთი მიწის ნაკვეთის გასხვისებაზე. თქვენ ახლა შეეხეთ ნახევარი ჰექტარი მიწის შსს - სათვის გადაცემის ფაქტს. თუ შეგიძლიათ დააზუსტეთ რა მიზნით გადაეცა აღნიშნული ტერიტორია, თუ ხართ ინფორმირებული, რატომ გადაეცემა, მეტი დეტალი რომ მომაწოდოთ. მინდა, ჩემს კოლეგებს ვთხოვო, საქმისწარმოების საშუალებით გავეცანი დოკუმენტაციას, მაგრამ ეს არ იძლევა შესაძლებლობას მეტი ვიცოდე, ამიტომ ნებისმიერ კომისიასთან მზად ვარ ვიმუშაო. ორ კომისიაში ვარ წარმოდგენილი, მაგრამ ნებისმიერ კომისიასთან მზად ვარ, რომ ვითანამშრომლო და თუ არის შესაძლებლობა, სათათბირო ხმის უფლებით ჩართული ვიყო მე პირადად სხვა კომისიებშიც. რა განწყობა ექნებათ ჩემს

კოლეგებს ამასთან დაკავშირებით, არ ვიცი, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ეს საკითხი სამომავლოდ გათვალისწინებული იქნება."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **ვალერიან სილაგაძე:** „ქუთაისის მერიაში შემოვიდა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილი. წერილით ირკვევა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიმართა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს ეშუამდგომლა მუნიციპალიტეტთან. როგორც ვიცით, აღნიშნულ ტერიტორიაზე უნდა მოხდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს გარკვეული ინფრასტრუქტურის მოწყობა. თუ ეს ინფრასტრუქტურა რაღაც პირობების გამო არ განხორციელდა, მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებას, აღნიშნული ტერიტორია გამოითხოვოს."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (პოლიტიკური პარტია „გირჩი"), ქალბატონი **თეკლა მებურიშვილი:** „ზოგადად, ვემხრობი პრივატიზაციის თემებს, მაგრამ ამ შემთხვევაში უსასყიდლოდ გადაცემაზეა საუბარი და წარმოდგენილ საკითხს მხარს ვერ დავუჭერ."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ჭიღვარია: „დამერწმუნეთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს უდიდესი როლი აქვს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოსა და თავდაცვისათვის. ამიტომ, მუნიციპალიტეტი ყოველთვის მზად იქნება შინაგან საქმეთა სამინისტროს, შინაგან საქმეთა მინისტრს, განსაკუთრებულად დაუჭიროს მხარი. დარწმუნებული ვარ, თქვენც ხედავთ, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში აღნიშნულ სამინისტროს უდიდესი როლი აქვს და მნიშვნელოვან საქმიანობას ეწევა ქვეყნის უსაფრთხოებისათვის."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის **მე-4** საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია

კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდა საკრებულოს წევრი, ქალბატონი მ.კოსტავა.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 21 წევრი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო: 3-მა წევრმა, ბატონმა ალ.მიქაუტაძემ, ქალბატონებმა: თ.მებურიშვილმა, ე.არჩაიამ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მე-4** საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის, **ვალერიან სილაგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 18 ნოემბრის **№31 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქალაქ ქუთაისში, 35-ე საჯარო სკოლის დასავლეთით მდებარე ტერიტორია/ჯავახიშვილის ქუჩა №85-ის სამხრეთით მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი), პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ **განკარგულება №31** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **მე-5** საკითხის - **„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2024–2027 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 16 დეკემბრის № 350 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **დავით ჭეიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა გაანმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე, ბატონი **დიმიტრი მხეიძე:** „ბატონო დავით, ლიფტების რეაბილიტაციას რაც ეხება, რას ვგულისხმობთ ამაში?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **დავით ჭეიშვილი:** „ლიფტების რეაბილიტაციაში იგულისხმება არსებული ლიფტების ახლით ჩანაცვლება. არავითარი მიმდინარე და კაპიტალური რემონტი, არამედ, ახლით ჩანაცვლება."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე, ბატონი **დიმიტრი მხეიძე:** „ანუ, ქალაქში გვექნება ახალი, კომფორტული ლიფტები."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე:** „ერთი ახალი ლიფტის ღირებულება რა თანხას შეადგენს?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **დავით ჭეიშვილი:** „სავარაუდოდ, 70 ათას ლარს."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (პოლიტიკური პარტია „გირჩი“), ქალბატონი **თეკლა მებურიშვილი:** „თუ სწორად გავიგე, ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდება ლიფტების რეაბილიტაცია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **დავით ჭეიშვილი:** „დიახ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ალექსანდრე მიქაუტაძე:** „რამდენადაც მე მახსოვს, ბატონო დავით, 800 ათას ლარზეა საუბარი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **დავით ჭეიშვილი:** „430 ათასი ლარი არის გამოყოფილი. ამ ეტაპზე უკვე მიმდინარეობს 30 ლიფტის რეაბილიტაცია და დაემატება 7 ერთეული.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ალექსანდრე მიქაუტაძე:** „როგორ განსაზღვრავთ ამ პრიორიტეტებს?

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **დავით ჭეიშვილი:** „ეს არის ჩვეულებრივი წესით, კომისია სწავლობს არსებულ მდგომარეობას და ირჩევს პრიორიტეტებს“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ჭიღვარია: „შემოსული განცხადებების საფუძველზე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ალექსანდრე მიქაუტაძე:** „რეაბილიტაციის შემდეგ, მოვლა-პატრონობის მიმართულებით რა იგეგმება. აქვს თუ არა საგარანტიო ვადა?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების

სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **დავით ჭეიშვილი:** „საგარანტიო ვადა განსაზღვრულია 3 წლით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ჭიღვარია: „ჩვენს ქალაქში სამწუხაროდ, ინფრასტრუქტურა საკმაოდ მოძველებულია. პრეცენდენტია, რომ დაიწყო მუნიციპალიტეტმა ამის კეთება და ნამდვილად მივესალმებით. მოგეხსენებათ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის **მე-5** საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდა საკრებულოს წევრი, ქალბატონი მ.კოსტავა.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 23 წევრი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო: 1-მა წევრმა, ბატონმა ალ.მიქაუტაძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მე-5** საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის, **დავით ჭეიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით,

(„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალის - წინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორ-ციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2024–2027 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრე - ბულოს 2024 წლის 16 დეკემბრის №350 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება №32** ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ, საკრებულოს სხდომაზე გაკეთდა **განცხადებები:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ჭიღვარია: „ჩვენ დღეს გვყავს საკრებულოს წევრები, რომლებიც პირველად ესწრებიან საკრებულოს სხდომას. მინდა, მათ წარმატებები ვუსურვო მომავალ

საქმიანობაში. ჩვენ შევძლებთ, ჩვენი ქალაქი კიდევ უკეთესი გავხადოთ ერთობლივი საქმიანობის შედეგად. ასევე, ჯანსაღი კრიტიკა მისაღები იქნება ჩვენთვის."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე:** „მინდა მივულოცო ჩემს მეგობრებს (დღეიდან უკვე კოლეგებსაც) წარმომადგენლობით ორგანოში მუშაობის დაწყება. მათ აქვთ გამოცდილება თვითმმართველობაში თანამდებობაზე ყოფნის დროს და რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია მათი ჩართულობა საკრებულოს საქმიანობაში. დარწმუნებული ვარ, მეგობრებო, თქვენი საქმიანობა იქნება ძალიან ნაყოფიერი. გილოცავთ ამ სტატუსს, რაც თქვენ დღეიდან გექნებათ. დიდი მადლობა ჩვენი ოპოზიციის წარმომადგენლებს. მზად ვართ ჯანსაღი ოპონირებისათვის. აუცილებელი არის კრიტიკაც, მისაღებია და ამასაც გავითვალისწინებთ. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ყველას ერთად გვიყვარს ეს ქალაქი და ამ ქალაქისათვის ვიზრუნებთ."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე პირველი სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დამთავრებისა და მათთან დაკავშირებით, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების დასრულების გამო, საკრებულოს რიგგარეშე პირველი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე პირველმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ჭიღვარია

ოქმი შედგენილია საკრებულოს აპარატის მეორადი
სტრუქტურული ერთეულის - სამდივნო განყოფილების
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, თ.ნიქაბაძისა
და ამ განყოფილების უფროსის, ც.პატარიძის მიერ.